



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 008/13<sup>1</sup> ადაწვევტილების მოკლე მიმოხილვა

*ანა მუკბანიანი (სტუდენტი)*

### ფაქტები

საჩივრის ავტორი წარმოადგენდა სამოქალაქო საქმეზე მოპასუხე მხარის ადვოკატს. მისი განმარტებით მოსარჩელე მხარის ადვოკატმა მის მიმართ გამოხატა ცინიკური და არაეთიკური დამოკიდებულება. კერძოდ: კოლეგა ადვოკატმა მის მიერ წარდგენილ სასამართლო შესაგებელთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებაში შეურაცხყოფა მიაყენა მას. მოსარჩელე მხარის ადვოკატის განმარტებით, მისი განცხადება არ იყო შეურაცხმყოფელი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად იყო გაკეთებული. აღნიშნული განცხადება მიმართული იყო პროცესის მხარის და არა ადვოკატის მიმართ. ადვოკატმა აგრეთვე მიუთითა, რომ ეს განცხადება წარმოადგენდა მოწინააღმდეგის შესაგებლის შეფასებას და არ იყო შეურაცხმყოფელი „სტიკვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატის შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლის, აპკ-ის მე-7 და მე-10.1 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-7 მუხლი ავალდებულებს ადვოკატებს ერთმანეთის პატივისცემასა და პროფესიული ღირსებების დაცვას. აღნიშნული მუხლი გულისხმობს იმას, რომ ერთმა ადვოკატმა მეორის მიმართ არ უნდა განახორციელოს ისეთი საქციელი, რომელიც ღირსებას შეულახავს კოლეგას, ნებისმიერ სიტუაციაში უნდა გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. კოლეგის პატივისცემა განმტკიცებულია აპკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილითაც. ეთიკის კომისიამ გაიზიარა ადვოკატის განცხადება, იმის თაობაზე, რომ მის მიერ შესაგებელზე გამოთქმული მოსაზრება - „ღიმილის მომგვრელია ბატონი ნ.ი-ს განცხადება: „გაუგებარია რა დეფინიცია შემოაქვს ბატონ ნ-ს ქართულ რეალობაში, ან ვინ მიაჩნია უფლებადამცველის სტატუსი“, ექვევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება ჰქონდა, რომ მოცემული ფორმით გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. ადვოკატის მიზანი აღნიშნული შეფასების გაკეთებისას არ იყო კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არამედ ემსახურებოდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და მიმართული იყო საქმის წარმატებით დასრულებისაკენ. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში ვერ აღმოაჩინა კოლეგის უფლებისა თუ ინტერესის ხელყოფის ფაქტი.

### დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან კოლეგიალობის პრინციპის (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლის, აპკ-ის 7 და 10.1 მუხლების) დარღვევა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c514a72f1f4c.pdf/5c514a72f1f4c.pdf>